



მდინარე აჭარისწყლის ჰესების კასკადი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა –
საბოლოო ანგარიში

2013 წლის ივლისი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“



მდინარე აჭარისწყლის ჰესების კასკადი

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა – საბოლოო ანგარიში

2013 წლის ივლისი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

1 აბაშიძის ქ. 6,

6010 ბათუმი, საქართველო

აქარისწყლის ჰესების კასკადი

გამოცემის და განახლების ამონაწერი

შესწორება	თარიღი	ავტორი	მაკონტროლებელი	დამმოწმებელი	აღწერა
A	14.07.2011	ვანესა ჰოლვლანდი მაკა სტამათელი	ვანესა ჰოლვლანდი	ლუსი ჩაპმანი	პირველი სამუშაო ვერსია კლიენტის კომენტარებისთვის
B	28.07.2011	ნიკ სტოუნი	ვანესა ჰოლვლანდი	ლუსი ჩაპმანი	საბოლოო ვერსია
C	25.01.2012	მარიან ლუპტონი	ვანესა ჰოლვლანდი	იან სკოტი	საბოლოო ანგარიში – განახლებული და თანდართული გზშ–ზე
D	26.07.2013	მარიელ როუანი	ტომ სტრიზერი		საბოლოო ანგარიში –

მოცემული დოკუმენტი გამოიცა უფლებამოსილ პირზე კონკრეტული მიზნებისთვის. მესამე მხარე არ უნდა დაეყრდნოს დოკუმენტში ასახულ ინფორმაციას ან გამოიყენოს ის სხვა მიზნებისთვის.

ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმ შედეგებზე, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს მესამე პირის მიერ დოკუმენტში გამოყენებული ინფორმაციით სარგებლობას ან მის სხვაგვარად გამოყენებას, ასევე იმ შემთხვევაში თუკი დოკუმენტში არის რაიმე შეცდომა ან ხარვეზი, რაც გამოწვეულია მესამე მხარის ჩვენდამი მოწოდებული ინფორმაციის არასრულფასოვნებით.

დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არის კონფიდენციალური ხასიათის და წარმოადგენს ინტელექტუალურ საკუთრებას. მისი მესამე პირებზე გაცემა დასაშვებია მხოლოდ ჩვენგან და უფლებამოსილი მხარისგან მიღებული ნებართვის საფუძველზე.

აქარისწყლის ჰესების კასკადი

სარჩევი

თავი	სათაური	გვერდი
1.	შესავალი და პროექტის აღწერა	5
1.1	მიმოხილვა	5
1.2	პროექტის ისტორია	6
1.3	პროექტის აღწერა	6
1.4	შუახვევის სექცია	9
1.5	კორომხეთის სექცია	9
2.	ნორმები და მოთხოვნები	10
2.1	მიმოხილვა	10
2.2	საერთოველოს მოთხოვნები	10
2.3	საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მოთხოვნები	10
2.4	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები	11
2.5	საჯარო განხილვის მოთხოვნა ევროკავშირის ფარგლებში	12
2.6	აზიის განვითარების ბანკის (ADB) მოთხოვნები	12
3.	წინამავალი მხარეთა ჩართულობა	14
4.	დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა და ანალიზი	17
5.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა	22
6.	გასაჩივრების მექანიზმი და კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია	24
7.	მონიტორინგი და ანგარიშგება	27
8.	დანართები	28
	დანართი A. საწყისი პროექტის განხილვის დამსწრეთა სია	28
	დანართი B: გზშ-ს მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის შესახებ	30
	დანართი C: გასაჩივრების ბროშურა საზოგადოებისთვის	33

1. შესავალი და პროექტის აღწერა

1.1 მიმოხილვა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში ‘ას’) საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მდინარე აჭარისწყალზე ახორციელებს ჰესების კასკადის პროექტს (იხ. სურათი 1.1).

სურათი 1.1: პროექტის ადგილმდებარეობა



პროექტი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ნაწილს, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიგნით ეკონომიკური დამოუკიდებლობის და ენერგეტიკული სექტორის მდგრადობისკენ, ასევე ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ ადგილობრივი რესურსების გამოყენების საშუალებით. გარდა ამისა, საქართველო გეგმავს ელექტროენერჯის ექსპორტს და ამ პოტენციალის განვითარებას. პროექტი უზრუნველყოფს განახლებადი ელექტროენერჯის მიწოდებას საქართველოს ენერგოსისტემაში, თუმცა გამომუშავებული ელექტროენერჯის უმეტესი წილი ექსპორტირებული იქნება თურქეთში.

პროექტისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) მომზადდა მოტ მაკდონალდთან (MML) და შპს „გამა კონსალტინგი“-თან თანამშრომლობით. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა განახორციელა MML-მ. 2013 წლის თებერვლიდან ‘ას’-მ აიღო საკუთარ თავზე დამსაქმებლის როლი და მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდა MM-ს წევრებთან საიტზე და ასევე დიდ ბრიტანეთში, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP) და მოიაზრება გზშ-ს ნაწილად. SEP-ის მიზანს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართვას პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე, კერძოდ კასკადის

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

მშენებლობამდე და მისი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ. დაინტერესებული მხარეების პროექტში ჩართვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სრულ შესაბამისობაში, ისეთების, როგორც არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და აზიის განვითარების ბანკი (ADB).

1.2 პროექტის ისტორია

2010 წლის მაისში შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-მ წარმატებით მიიღო კონცესია მდინარე აჭარისწყალზე სამ პოტენციურ ჰიდროელექტრო სადგურზე. მიღებული ნებართვა შეეხებოდა მდ. აჭარისწყლის შუახევის, კორომხეთის და ხერთვისის მონაკვეთებსა და შესაბამის შენაკადებს. სახელდობრ, ნებართვა გაიცა აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგურების კასკადის პროექტზე.

პროექტის ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში მომზადდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ექსპლუატაციის სტანდარტებსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) განვითარების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში. ბსგზშ-ს ანგარიში ასევე განიხილა აზიის განვითარების ბანკმა (ADB) და დაადასტურა ანგარიშის მათ მოთხოვნებთან თანხვედრა.

დეტალური საინჟინრო პროექტი შემუშავდა ბსგზშ ანგარიშის დასრულების შემდეგ. პროცესში გაირკვა, რომ ხერთვისის სქემაში არსებობდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი რისკები, მათ შორის სამშენებლო სტრუქტურების დაგეგმილი მაქსიმალურ ეროვნული პარკის საზღვრებში ჩავარდნის ალბათობა. ამ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით „ას“-მ გადაწყვიტა ხერთვისის სქემის საერთო პროექტიდან ამოღება. შესაბამისად, განსახორციელებელი პროექტი მოიცავს მხოლოდ შუახევის და კორომხეთის სქემებს.

1.3 პროექტის აღწერა

პროექტი გულისხმობს ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (მთლიანი დადგმული სიმძლავრე მშენებლობასა და ექსპლუატაციას (სურათი 1.2). ყოველი სქემა მოიცავს კაშხლებს და დამბებს, წყალსაცავებს, მიმყვან გვირაბებს, ელექტროსადგურს და მისასვლელ გზებს. კასკადის ორი საფეხური არის შუახევი ჰესი (დადგმული სიმძლავრით 185 მვტ) და კორომხეთი ჰესი (დადგმული სიმძლავრით 150 მვტ), რომელთა წლიური საშუალო ელექტროგამომუშავება იქნება 930 გვტ (465 გვტ თითოეული სქემისთვის). გამომუშავებული ელექტროენერგია ძირითადად გაიყიდება თურქეთის ბაზარზე და მოამარაგებს ქართულ ენერგეტიკულ სისტემას ზამთარში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი).

პროექტს დასჭირდება ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც გამომუშავებულ ენერგიას ჯერ ქვესადგურს მიაწვდის, ხოლო შემდეგ მომხმარებელს¹. შემოთავაზებული ახალი, 220 კვ-იანი

¹ ელექტროგადამცემი ხაზებისთვის ჩატარდება ცალკე ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ახალი, 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი მოეწყობა არსებული ხაზის დერეფნის გასწვრივ.

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

გადამცემი ხაზი მიუერთდება არსებულ ეროვნულ ქსელს ბათუმისა და ახალციხეს ქვესადგურებში. გადამცემი ხაზის მშენებლობა ცალკე პროექტია და იგი განხორციელდება ეროვნული მოთხოვნების გათვალისწინებით (ეს მოიცავს ცალკე გზშ-ს მომზადების მოთხოვნას). გადამცემი ხაზის მოწყობა არ შედის იმ საქმიანობების ნუსხაში, რომელთათვისაც შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ დაფინანსებას ეძებს. თუმცა, რადგან ხაზი დაკავშირებული იქნება პროექტთან, საკმაოდ ბევრი კომენტარი გაკეთდა მასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) მოთხოვნების შესაბამისად (IFC, 2012c).

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

სურათი 1.2. აჭარისწყლის ჰესების პროექტის ინფრასტრუქტურა



აჭარისწყლის ჰესების კასკადი

პროექტი მოიაზრება როგორც პიკური წარმადობის ობიექტი, ანუ კასკადის მუშაობა მიმართული იქნება იმისაკენ, რომ მოხერხდეს მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა, ელექტროენერგიაზე მაღალი მოთხოვნის პერიოდში, მაშინ როდესაც მისი ფასი მაღალია თურქეთში (ელექტროენერგიის ფასი ვარირებს დღის სხვადასხვა მონაკვეთის მიხედვით). თითოეულ სქემას აქვს მცირე წყალსაცავი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ყოველდღიურ დაგროვებას და საშუალებას აძლევს ჰესს, რომ მთლიანი დატვირთვით იმუშაოს დღის იმ მონაკვეთში, როდესაც მოთხოვნა პიკს აღწევს. ორი სქემის მცირე აღწერა იხილეთ პარაგრაფებში 1.4 და 1.5.

1.4 შუახევის სქემა

შუახევის ჰესის მთლიანი დადგმული სიმძლავრე იქნება 185 მვტ. პროექტი ითვალისწინებს ორი დამბის და წყალსაცავების მოწყობას მდინარეებზე აჭარისწყალი და სხალთა და ერთი კაშხლის მოწყობას მდ. ჩირუხისწყალზე. მდინარის წყალი, გვირაბების საშუალებით გადაგდებული იქნება მდ. სხალთიდან და მდ. ჩირუხისწყლიდან დიდაჭარის წყალსაცავში, და აქედან, მიმდინარე გვირაბის მეშვეობით შუახევის ჰესში. მცირე მოცულობის ჰესი (10 მვტ) მოეწყობა სხალთასთან, რომელიც გადაამუშავებს მდ. ჩირუხისწყალიდან გადაგდებულ წყალს, მაშინ როდესაც მთავარი ძალური კვანძი (შუახევი ჰესი) მოეწყობა მდ. აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. შუახევთან და მდ. ჩირუხისწყლისა და აჭარისწყლის შესართავთან ახლოს.

1.5 კორომხეთის სქემა

ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 150 მვტ. იგი შედგება ერთი დამბისა და წყალსაცავისაგან მდ. აჭარისწყალზე (შუახევის ჰესის ქვემოთ), ერთი დაბალ ზღურბლიანი დამბისაგან მდ. ჭვანისწყალზე და კაშხლისგან მდ. აკავრეთაზე. წყლის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება სადერივაციო გვირაბები. მიწისქვეშა ჰესის მოწყობა დაგეგმილია მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. კორომხეთთან ახლოს.

2. ნორმები და მოთხოვნები

2.1 მიმოხილვა

„აჭარიწყალი ჯორჯია“-ს პროექტის ფარგლებში შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა მიზნად ისახავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობას. საქართველომ ხელი მოაწერა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ორჰაუსის კონვენციას, რომელიც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და გარემოსთან დაკავშირებულ მართლმსაჯულებაში. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს მიმდინარე პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართვას.

2.2 საქართველოს მოთხოვნები

საქართველოს კონსტიტუცია საზოგადოების ინფორმირების გარანტია. კონსტიტუციის თანახმად პირს შეუძლია მიიღოს სრული, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მის სამუშაო ადგილსა და საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემა რეგულირდება შემდეგი კანონებით - საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ (2007 წ.); საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის“ შესახებ (ძალაშია 1996 წლიდან, შესწ. 2000, 2003, 2007); საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ (2005) და საქართველოს კანონი „ეკოლოგიური შეფასების“ შესახებ (მიღებულია 2007 წელს). პროექტში საზოგადოების მონაწილეობას არეგულირებს საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ (2007). კანონის მიხედვით, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია შეიმუშაოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) და ჩართოს საზოგადოება, რაც მოიცავს ცენტრალურ და ადგილობრივ მედიაში საჯარო განხილვის მოწყობის თაობაზე განცხადების გამოქვეყნებას. კანონში ასევე აღნიშნულია, რომ საზოგადოების ჩართულობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სავალდებულო პროცედურებია გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში. ეს პროცესი იმართება საჯარო დისკუსიების სახით, ინვესტორის, გარემოს დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით.

2.3 საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მოთხოვნები

საჯარო კონსულტაციები, ინფორმაციის გახმაურება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა წარმოადგენს IFC-ის სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკის ძირითად მოთხოვნებს და სრულდება „შესრულების სტანდარტების“ (PS) ფარგლებში.

პროექტში დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მოთხოვნებია:

- პროცესი დაიწყოს პროექტის ციკლის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე;

აქარისწყლის ჰესების კასკადი

- გაგრძელდეს პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლისთვის;
- გამოირიცხოს ყოველგვარი მანიპულაცია, ჩარევა, იძულება ან დაშინება;
- სადაც საჭიროა, უზრუნველყოფილ იქნას თემის მონაწილეობა; და
- განხორციელდეს დროული, შესაბამისი, გასაგები და მისაღები ინფორმაციის საფუძველზე, კულტურულად მისაღებ ფორმატში.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკიდან გამომდინარე IFC ცდილობს ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს ზუსტი და დროული ინფორმაცია მისი საინვესტიციო და საკონსულტაციო საქმიანობების შესახებ, ასევე უფრო ზოგადი ინსტიტუციური ინფორმაცია. IFC-ს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის თანახმად, დასაფინანსებლად წარდგენილი ყველა A კატეგორიის პროექტი, როგორც არის მოცემული პროექტი, მათი განხილვის შედეგების შინაარსი და რეკომენდაციები გახმაურებული იქნება და მოიცავს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- მითითებას PS-ზე და ნებისმიერი საჩივრის განხილვის მექანიზმს, მათ შორის მრჩეველ/ომბუდსმენს;
- პროექტის IFC კატეგორიზაციის დასაბუთებას;
- პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად სოციალურ და გარემოსდაცვით რისკებსა და ზემოქმედებებს; და
- აღნიშნული რისკებისა და ზემოქმედებების შემამცირებელ ძირითად ღონისძიებებს, PS-ების შესაბამის, პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ ყველა დამატებითი ღონისძიების მითითებას;
- პროექტის ფარგლებში მიერ შემუშავებული შესაბამისი გზშ-ს ელექტრონულ ასლებს ან ვებ-გვერდების მისამართებს;
- სხვა დამატებით დოკუმენტებს, მაგალითად სამოქმედო გეგმას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას, განსახლების გეგმას და სხვა.

ინფორმაცია პროექტის ან ინვესტიციების შესახებ IFC-ის მიერ გამოქვეყნებული იქნება მის საინფორმაციო პორტალზე <http://www.ifc.org/disclosure>. შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს IFC-ის დირექტორთა საბჭოს მიერ ინვესტიციის გაცემის განხილვამდე მინიმუმ 60 დღით ადრე.

2.4 ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) მოთხოვნები

EBRD-ის ინფორმაციის გახმაურებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ძირითადი პოლიტიკის მთავარ დოკუმენტებს წარმოადგენენ გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (2008) და საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა (2008). IFC-ის მსგავსად EBRD-იც უყენებს მოთხოვნას პროექტის სპონსორს მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროექტის ადრეულ ეტაპზე პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა იყოს ღია, არსებითი და მისაღები პოტენციური ზეგავლენის ქვეშ მყოფი თემებისთვის. ჩართულობის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

მოწყვლადი თემების ინტერესებს. გზმ დოკუმენტი უნდა ატარებდეს საჯარო ხასიათს პროექტის მთელი სიცოცხლის მანძილზე; პროექტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ასევე საჯარო ინფორმირების საგანია.

EBRD-ს ინფორმაციის გახმაურების პოლიტიკა მოითხოვს გზმ დოკუმენტის ხელმისაწვდომობას მისი ბიზნეს საინფორმაციო ცენტრისა და ადგილობრივი ოფისების, და ასევე მისი ვებ-გვერდის საშუალებით დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის განხილვამდე მინიმუმ 60 დღით ადრე.

2.5 საჯარო განხილვის მოთხოვნა ევროკავშირის ფარგლებში

ევროკავშირის გზმ-ს დირექტივა 85/337/EEC (შესწ. 97/11/EC, 2003/35/EC და 2009/31/EC) განმარტავს ზემოქმედების შეფასების პროცესს, რომელიც უნდა დაიცვას ყველა წევრმა ქვეყანამ. გზმ დირექტივა მოითხოვს საჯარო კონსულტაციების ორგანიზებას პროექტის შემუშავების, ზემოქმედების შეფასების და პროექტის განხორციელების ეტაპებზე. იგი ასევე მოიცავს საზოგადოების ჩართულობის დოქტრინებს, რომლებიც გაერთიანებულია ორჰუსის კონვენციაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების საკითხების ხელმისაწვდომობის შესახებ.

დირექტივა მოითხოვს საზოგადოების ჩართვას ისეთი პროექტისთვის გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ბუნებრივ და/ან სოციალურ გარემოზე. პროექტის შემუშავების ფაზაზე საზოგადოებას უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. მიღებული შენიშვნები უნდა იყოს გათვალისწინებული, ხოლო შენიშვნების უარყოფა და უგულვებლყოფა მოითხოვენ შესაბამის დასაბუთებას, ხოლო საზოგადოებას უნდა ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზების შესახებ. თუმცა, დირექტივა საზოგადოების წევრებს ანიჭებს უფლებას ექვი შეიტანონ გადაწყვეტილების ან მოქმედების სისწორეში. ევროკავშირის დირექტივა 2003/4/EC „საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის“ შესახებ ანიჭებს საზოგადოებას უფლებას ხელი მიუწვდებოდეს საჯარო სამსახურებში არსებულ ინფორმაციაზე და მოიცავს ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებსა და დებულებებს საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.

2.6 აზიის განვითარების ბანკის (ADB) მოთხოვნები

ADB-ს მოთხოვნები A კატეგორიის პროექტების კონსულტაციების და გასაჯაროების შესახებ EBRD-ის და IFC-ის მოთხოვნების მსგავსია.

ADB-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკაში ხაზგასმულია ზემოქმედების შეფასების შედეგების გამოქვეყნების აუცილებლობა და განხილვაში დაინტერესებული მხარეების ჩართვის საჭიროება. პოლიტიკა მხარს უჭერს საზოგადოების უფლებას მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია იმ პროექტებზე, რომლებიც ADB-ს დახმარებით ხორციელდება. პოლიტიკის მეშვეობით ADB ცდილობს საზოგადოებას მიაწოდოს დროული, გასაგები და შესაბამისი ინფორმაცია, და ასევე გაავრცელოს იგი იმ მოსახლეობაში, რომელიც

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

პროექტის უშუალო ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, რათა მათ დროულად შეძლონ საქმიანობაში ჩართვა და პროექტის დახვეწაში საკუთარი წვლილის შეტანა.

ამ მოთხოვნებს კიდევ უფრო ამყარებს ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკა (SPS), რომელიც შემდეგნაირად განსაზღვრავს 'კონსტრუქციულ კონსულტაციებს':

პროცესი, რომელიც (i) იწყება პროექტის მომზადების ადრეულ სტადიაზე და გრძელდება პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის განმავლობაში; (ii) უზრუნველყოფს ისეთი შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის დროულ გაშუქებას, რომელიც დაზარალებული ადამიანებისთვის არის გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი; (iii) ხორციელდება დაშინებისგან და იძულებისაგან თავისუფალ გარემოში; (iv) არის გენდერულად ინკლუზიური და მოქნილი, და მორგებული დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე; და (v) საშუალებას იძლევა ჩართოს პროექტით დაზარალებული ჯგუფები და დაინტერესებული მხარეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც არის მაგალითად საპროექტო გადაწყვეტები, შემარბილებელი ღონისძიებები, სარგებელის და შესაძლებლობების გაზიარება და განხორციელების საკითხები.

SPS-ის უსაფრთხოების 1 მოთხოვნის თანახმად: მსესხებელი/დამკვეთი ვალდებულია ჩაატაროს კონსულტაციების დაზარალებულ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან, და ხელი შეუწყოს პროექტის განვითარებაში მათ მონაწილეობას.

3. წინამავალი მხარეთა ჩართულობა

„აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მტკიცე განზრახვაა დაინტერესებული მხარეების პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპებზე ჩართვა, მათი მხარდაჭერის მოპოვება და გაუმჯობესებულ შედეგებსა და ხანგრძლივ მდგრადობაში წვლილის შეტანის ხელშეწყობა. ეს პარაგრაფი აღწერს ინფორმაციის მიწოდების, კონსულტაციების გამართვის და თანამონაწილეობისკენ მიმართულ უკვე ჩატარებულ ღონისძიებებს.

მას შემდეგ, რაც 'ას'-მ მოიპოვა მოცემული პროექტის განხორციელების უფლება, იგი ჩაერთო მოლაპარაკებებში სახელმწიფოსთან. ტელევიზიით პროექტის შესახებ ინფორმაცია გაახმაურა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ. ძირითადი შეხვედრები გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძესთან (2011 წლის მარტი) და აჭარის ფინანსთა მინისტრის მოადგილე - გრიგოლ წამალაშვილთან (2011 წლის მაისი).

2011 წლის ივნისის საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის განხორციელების კონტრაქტის ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრო ადგილობრივი მთავრობა, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და Clean Energy Invest-ის აღმასრულებელი თავმჯდომარე, ბარდ მიკელსონი (2012 წლის ივნისი). სპეციალურად ცერემონიალისთვის 'ას'-მ შეიმუშავა პრეს რელიზი და ბროშურები ინგლისურ ენაზე. ბროშურებში მოცემული იყო პროექტის მომიხილვა, იმ მომენტისთვის ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, დეველოპერი კომპანიისა და გზმ-ს და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განმახორციელებელი კომპანიების მოკლე დახასიათება.

2011 წლის ივნისს, პროექტის დეტალური აღწერის მიზნით ხულოში გაიმართა მისი საჯარო განხილვა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი საბჭოს ხელმძღვანელები, პროექტის ზონაში მოქცეული მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი მოადგილეები, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები და აჭარის ფინანსთა მინისტრის მოადგილე. მონაწილეთა სრული ნუსხა მოცემულია დანართ A-ში. შეხვედრაზე 'ას'-ის პროექტის დირექტორის მიერ წარმოდგენილი იყო პროექტის მოკლე პრეზენტაცია, და ასევე მოკლე პრეზენტაციები მოტ მაკდონალდის და გამას (გზმ კონსულტანტები) მიერ შესრულებული გზმ-ს პროცესის და შეფასების ობიექტების შესახებ. შეხვედრა გაშუქდა ადგილობრივი გაზეთ „აჭარის“ და აჭარის ტელევიზიის საშუალებით.

განხორციელებული საქმიანობების მიზანი იყო:

- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე პროექტის განვითარების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართვა წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის, მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის და გზმ პროცესის წარდგენის საშუალებით;
- დამატებითი პოტენციური და ძირითადი დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა;
- იმ საკითხებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევასა და გზმ პროცესში;

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

- შემდგომი საკითხების გადასაწყვეტად დაინტერესებული მხარეების უზრუნველყოფა საკონტაქტო ინფორმაციით და მათთან ურთიერთობა პროექტის განვითარების მთელ ფაზაზე.

ცხრილში 3.1. მოცემულია ინფორმაცია 2011 წელს პროექტის მედიაში (ტელევიზია, გაზეთები, ინტერნეტი) გახმაურების შესახებ.

პროექტის პირველადმა შეხვედრებმა გამოამჟღავნა მუნიციპალიტეტების ინტერესი და პროექტის მხარდაჭერის სურვილი. ხულოში ჩატარებული შეხვედრის დროს წამოწეული საკითხები ძირითადად ეხებოდა ზემოქმედების მასშტაბს წყლის დონეზე, ხარჯზე და კერძო საკუთრებაზე, ასევე პროექტის ფარგლებში გარემოს მაღალი დონის შენარჩუნების საჭიროებას. დიდი ინტერესი გამოიწვია პროექტის ფარგლებში სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივამ და ასევე საკუთრების გადასახადის მეშვეობით მუნიციპალიტეტების შემოსავლების გაზრდის პოტენციალმა (საინვესტიციო ღირებულების წლიური 1%).

ცხრილი 3.1. აჭარისწყლის ჰესების კასკადის პროექტი მედიაში

აღწერა	თარიღი	მედია	ენა
ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განცხადება პროექტის შესახებ	2010 წლის მაისი	სამინისტროს ვებ-გვერდი	ქართული
ინფორმაცია მდ. აჭარისწყალზე დაგეგმილი ჰესის მშენებლობასა და შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიალის განხორციელება	11.06.2011	ანგარიშების გაშუქება ეროვნული ტელევიზიებით: იმედი და რუსთავი2 და ადგილობრივი ტელევიზია 25 არხი	ქართული
ინფორმაცია აჭარისწყლის ჰესის პროექტის განვითარების საპროექტო წინადადების შესახებ და ინტერვიუ Gross Energy-სთან.	11.06.2011	ანგარიში აჭარის ტელევიზიით სტატია გაზეთში "აჭარა"	ქართული
აჭარისწყალზე ჰესის მშენებლობა	11.06.2011	ონლაინ სტატია www.onlinenews.ge	ინგლისური
პროექტის პირველადი გახმაურების შეხვედრა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან	15.06.2011	აჭარის ტელევიზია	ქართული
პროექტის განხორციელებაზე საქართველოს მთავრობასა და Clean Energy Invest AS Soris შეთანხმების ხელმოწერა	15.06.2011	ონლაინ სტატია http://commercial.ge	ინგლისური
Clean Energy Invest AS აჭარაში პროექტის განხორციელების შესახებ	17.06.2011-23.06.2011	ონლაინ სტატია http://georgiatoday.ge	ინგლისური
ახალი ენერგოპროექტები მდ. აჭარისწყალზე	15-22.08.2011	გაზეთი ბათუმელები	ქართული
ჰიდროელექტრო სადგურის პროექტის განხილვა	23-25.07.2011	აჭარის გაზეთი	ქართული
ჰიდროელექტრო სადგურები მდ. აჭარისწყალზე	01.11.2011	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ვებ-	ინგლისური და ქართული

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

აღწერა	თარიღი	მედია გვერდი	ენა
პროექტის რეგისტრაცია როგორც CDM	12.11.2012	მთავრობის განცხადება	ინგლისური და ქართული
ინდური კომპანიები იყენებენ ჰიდრორესურსებს	23.05.2013	Georgia Times ონლაინ გაზეთი	ინგლისური
აჭარისწყლის პროექტის გაგრძელება	2013 საკითხი N1	Invest in Georgia Georgia Today-ს ყოველთვიური დანართი	ინგლისური
Our investment is a future asset for Georgia	29.07.2013	გაზეთი ბათუმელები www.netgazeti.ge	ქართული

წყარო: შპს აჭარისწყალი ჯორჯია

2012 წელს პროექტი დარეგისტრირდა როგორც სუფთა განვითარების მექანიზმის (CDM) პროექტი. ამის შესახებ განცხადება გაავრცელა მთავრობამ. CDM დოკუმენტაცია შემუშავდა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. 2012 წლის მარტიდან, 'ას'-ს ვებგვერდზე ხელმისაწვდომი გახდა გზშ, თავდაპირველად მონახაზი, ხოლო შემდეგ დასრულებული ვერსია (www.adjaristsqali.com). შეხვედრების სამიზნე ჯგუფებს მოიცავდნენ სოფლების წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, დაზარალებულ მიწის მესაკუთრეებს და ქალთა ჯგუფებს. საჯარო განხილვის შესახებ განცხადება გამოქვეყნდა ეროვნულ და რეგიონალურ პრესასა და რადიოში შეხვედრის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე. 2012 წლის სექტემბერში გაიმართა შეხვედრა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის გარშემო, რომელიც გზშ-ს ნაწილს წარმოადგენს.

2013 წლის მაისში, გაზეთ „Georgia Times“-ში და სხვა გაზეთებში გაკეთდა განცხადება „Tata Power“-ის პროექტში ჩართვის შესახებ. ამ საკითხის ირგვლივ დამატებითი სტატიები ქვეყნდებოდა გაზეთებში 2013 წლის ივლისში.

4. დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა და ანალიზი

დაინტერესებული მხარეები არიან ფიზიკური პირები ან ჯგუფები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად განიცდიან პროექტის ზემოქმედებას, ასევე მხარეები, რომელთაც შესაძლებელია გააჩნდეთ ინტერესები პროექტთან მიმართებაში ან შეეძლოთ მის განვითარებაზე დადებითი ან უარყოფითი გავლენის მოხდენა. ცხრილში 4.1. წარმოდგენილია ძირითადი დაინტერესებული მხარეები და ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი პროექტში ჩართვა.

ცხრილი 4.1. დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები და ჩართულობის მეთოდები

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	საჯარო შეხვედრები და გამოფენები	პირაპირი შეხვედრები და ვორკშოპები	ფოკუს ჯგუფები	მედია კომუნიკაციები	წერილობითი ინფორმაციის საჯაროობა	თემის საკონტაქტო პირი
<i>შიდა დაინტერესებული მხარეები</i>						
თანამშრომლები და მუშები	✓	✓		✓	✓	
<i>გარე დაინტერესებული მხარეები</i>						
პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემი	✓		✓	✓	✓	✓
ფიზიკურად და ეკონომიურად გადაადგილებული, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ხალხი (PAPs)	✓	✓	✓	✓	✓	✓
საერთაშორისო და რეგიონალური სამთავრობო უწყებები და ფინანსური ინსტიტუტები	✓	✓		✓	✓	
ეროვნული სამთავრობო დეპარტამენტები	✓	✓		✓	✓	
ეროვნული ორგანოები	✓	✓		✓	✓	
რეგიონალური/ადგილობრივი სამთავრობო დეპარტამენტები	✓	✓		✓	✓	
სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და კვლევითი ორგანოები	✓	✓	✓	✓	✓	
ბიზნესი და ინდუსტრია	✓	✓	✓	✓		
მედია და პრესა	✓			✓		

ცხრილში 4.2. წარმოდგენილია კონკრეტული დაინტერესებული მხარეები და მათი კავშირი პროექტთან.

ცხრილი 4.2. დაინტერესებული მხარეები და მათი კავშირი პროექტთან

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	კავშირი პროექტთან
<i>შიდა დაინტერესებული მხარეები</i>		
ჰესის ექსპლუატაციისას საპროექტო კომპანიის თანამშრომლები	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	დასაქმებით მიღებული სარგებელი, თუმცა არსებობს ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან და ასევე, უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული გარკვეული რისკები. კავშირები უზრუნველყოფენ მუშების კეთილდღეობასა და უფლებების დაცვას.
დროებით დასაქმებული მსენებლები	ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები და დამსაქმებლები	
პროექტის წევრები	ამჟამად გამოვლენილი არ არის	
<i>გარე დაინტერესებული მხარეები</i>		
ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემი - ხულო	დიდაჭარის თემი, სოფ დიდაჭარა ლევანაშვილების თემი, სოფლები: დიაკონიძეები, დუაძეები, წიფნარი	ადგილობრივი თემები შესაძლოა მოექცნენ სამშენებლო და საექსპლუატაციო სამუშაოების უარყოფითი გავლენის ქვეშ, მაგრამ ასევე შესაძლოა ნახონ სარგებელიც დასაქმებისა და არაპირდაპირი ეკონომიური შესაძლებლობების სახით
ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემი - შუახევის მუნიციპალიტეტი	ჭვანის თემი, სოფ. ვარჯანაული ოლადაურის თემი, სოფლები: პაპოშვილები და მახალიძეები	
ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემი - ქედის მუნიციპალიტეტი	მახუნწეთის თემი, სოფლები: ქვედა მახუნწეთი და ქვედა ბზუბზუ პირველი მაისის თემი, სოფ. პირველი მაისი ქედის თემი, სოფ. კორომხეთი მერისის თემი, სოფლები: სიხალიძეები და ინაშარიძეები ჭვანის თემი, სოფლები: დანდალო და ბალაძეები	
ფიზიკურ და ეკონომიკურ განსახლებას დაქვემდებარებული, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ხალხი (PAPs)	პროექტის განხორციელების ფარგლებში არსებული მიწის მფლობელები და ისინი ვინც ცხოვრობენ იმ ადგილებში სადაც განთავსდება მისასვლელი გზები, კაშხლები და ელექტროსადგურები პროექტის განხორციელების ფარგლებში არსებული მიწის მფლობელები, რომლებიც შესაძლოა მოყვანენ გადამცემი ხაზების ზეგავლენის ქვეშ მიწისმფლობელები, რომელთა ნაკვეთებიც მდებარეობს დატბორვის ადგილებში	კომპენსაცია მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავდა გზმ-ს პროცესში.
ინდუსტრია და ბიზნესი	” კოკატაურის” მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხანა აწესი – სს. ” ენერგო პრო ჯორჯია”	დაგეგმილი აჭარისწყლის ჰესის სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობების დროს, არსებული ჰესის მოქმედების სისტემაზე

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	კავშირი პროექტთან
	მაჭახელაჰესი	შესაძლო ზეგავლენა. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, არსებული მაჭახელაჰესი ვეღარ განაგრძობს ფუნქციონირებას და საჭირო იქნება მისი კომპენსირება.
	შპს სანალია ჰესი	არსებული ჰესი მდ. ჩირუხისწყალზე. მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა გადამცემი ხაზების პილონების გადატანა.
საერთაშორისო და რეგიონალური სამთავრობო ორგანოები/ფინანსური ინსტიტუტები	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი, ევროკავშირი, აზის განვითარების ბანკი	ფინანსები და რეგულაცია.
ეროვნული სამთავრობო დეპარტამენტები	საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	დაგეგმილი სამიანობების განხორციელების პერიოდში ქვეყნის ენერჯეტიკულ პოლიტიკასთან თანხვედრა.
	საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო	დაგეგმილი სამიანობების განხორციელების პერიოდში საქართველოს გარემოსდაცვით კანონებთან და საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობა.
რეგიონალური/ადგილობრივი სამთავრობო დეპარტამენტები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური საკითხების კოორდინაცია.
	აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები სამმართველო	დაგეგმილი სამიანობების განხორციელების პერიოდში საქართველოს გარემოსდაცვით კანონებსა და საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობა.
	ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია	პროექტის მიერ მუნიციპალიტეტში შეტანილი საკუთრების გადასახადის შემოსავალმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი წლიური ბიუჯეტი.
	შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია	მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის
	ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია	
	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია	

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	კავშირი პროექტთან
		<p>გაუმჯობესების მოლოდინის არსებობა. მუნიციპალიტეტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ნეგატიური ზემოქმედება.</p>
<p>სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანოები</p>	<p>საადვოკატო ცენტრი</p> <p>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ოფისი</p> <p>ადამიანთა უფლებების ცენტრის ოფისი აჭარაში</p> <p>სამართლიანობისა და სამართლის, პატიმრებისა და ჩაგრულთა უფლებების დაკეთილდღეობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია</p> <p>ახალგაზრდა მეცნიერთა გაერთიანება 'ინტელექტი'</p> <p>თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი</p> <p>'ნაბიჯი წინ'</p> <p>სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ოფისი</p> <p>განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის გაერთიანება 'პროგრესი'</p> <p>დემოკრატიული ინსტიტუტი</p> <p>დემოკრატიული ინსტიტუტის ქედის ოფისი</p> <p>დემოკრატიული ინსტიტუტის ხულოს ოფისი</p> <p>შავი ზღვის ეკო-აკადემია</p> <p>გარემოსდაცვითი ასოციაცია 'პსოვი'</p> <p>ველური ბუნების დაცვის საზოგადოება 'ჭაობი'</p> <p>მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის ასოციაცია 'ჭოროხი'</p> <p>'ადამიანი და გარემო'</p> <p>საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები</p> <p>'მწვანე ალტერნატივა'</p>	<p>ადგილობრივი თემის მაცხოვრებლების უფლებების დაცვა პროექტის განხორციელების პერიოდში.</p>
<p>პრესა და მედია</p>	<p>აჭარის ტელევიზია</p> <p>ტელევიზია 'Tv 25'</p> <p>რადიო 'აჭარა'</p> <p>გაზეთი 'აჭარა'</p> <p>გაზეთი 'ბათუმელები'</p> <p>გაზეთი 'ბათუმური ქრონიკა'</p> <p>გაზეთი 'აჭარა პ.ს.'</p> <p>გაზეთი 'მთიანეთი'</p>	<p>აჭარის რეგიონში მცხოვრები და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობებისა და კონსულტაციური საქმიანობების ჩაწერის შესახებ.</p>

აქარისწყლის ჰესების კასკადი

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	დაინტერესებულ მხარეთა ორგანოები	კავშირი პროექტთან
-----------------------------	---------------------------------	-------------------

გაზეთი 'ხულო'

გაზეთი 'ქედა'

იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების რომელიმე ფაზაზე მოხდება ახალი დაინტერესებული მხარის აღმოჩენა, ზემოთ მოცემული ჩამონათვალი დაექვემდებარება განახლებას.

5. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

აჭარისწყალი ჯორჯია უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებოდეთ შესაბამისი ინფორმაცია პროექტის სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე. დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ საშუალება გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, მათ შორის ჩივილებიც. ცხრილში 5.1. მოცემულია ის ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს და ხელისუფლებას, და ასევე კომუნიკაციების მეთოდი.

ცხრილი 5.1. საჯარო განხილვები და გასაჯაროების პროგრამა

მისაწოდებელი ინფორმაცია	ვადები	კომუნიკაცია	შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა
<i>შიდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა</i>			
მუშების გასაჩივრების მექანიზმი	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების დაწყებისთანავე	მოსასვენებელ ოთახში მოწყობილი განცხადებების დაფა, ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე, ინფორმაციის ინდუქცია, როდესაც პროექტს უერთდებიან მუშების ახალი ჯგუფები	მუშებს აქვთ საშუალება შემოიტანონ საჩივარი პროექტზე მუშაობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში
თანამშრომლობის პირობები	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების დაწყებისთანავე	გათვალისწინებულია კონტრაქტით	გასაჩივრების მექანიზმის საშუალებით
ადამიანური რესურსების და გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (EHS) პოლიტიკა და პროცედურები	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების დაწყებისთანავე	გათვალისწინებულია კონტრაქტით	გასაჩივრების მექანიზმის საშუალებით
<i>გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა</i>			
პროექტის გრაფიკის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დაწყების წინასწარ შეტყობინების მიზნით	გვირაბების გაყვანის, მშენებლობის ან სხვა მნიშვნელოვანი სამშენებლო ფაზების დაწყებამდე ერთი თვით ადრე და საპროექტო ცვლილებების შემთხვევაში - ხელახალი გამოცემა	საპროექტო ტერიტორიებზე საინფორმაციო მანიშნებლები ბუკლეტები საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი სამინისტროებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან საურთიერთოდ და მაკონტროლებელი ორგანოების ვებ-გვერდი: www.adjaristsqali.com	მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე, კომუნიკაციის და გასაჩივრების მექანიზმის საშუალებით
EHS ვალდებულებები და მოთხოვნები	მიმდინარე	სატენდერო ინფორმაცია ხელშეკრულებები ყოველთვიური EHS	შეხვედრების დროს

აქარისწყლის ჰესების კასკადი

მისაწოდებელი ინფორმაცია	ვადები	კომუნიკაცია	შენიშვნების გაკეთების შესამღებლობა
		შეხვედრები ერთობლივი მონიტორინგი	
პროექტის მიმდინარეობა, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის შესრულება და ახალი საქმიანობები	წელიწადში ერთხელ მაინც	ყოველწლიური ანგარიში პრესრელიზები ყოველწლიური ღია კარის დღე საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ვებ-გვერდი: www.adjaristsqali.com	მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე, კომუნიკაციის და გასაჩივრების მექანიზმის საშუალებით
საზოგადოებრივი გასაჩივრების მექანიზმი	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების დაწყებისთანავე	საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ვებ-გვერდი: www.adjaristsqali.com	საზოგადოებას აქვს საშუალება შემოიტანოს საჩივარი პროექტის სიცოცხლის მთლიანი პერიოდის განმავლობაში

ინფორმაციის მიწოდება მოხდება შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. გასაჩივრების მექანიზმი და კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

უკმაყოფილება შეიძლება განისაზღვროს როგორც აქტუალური ან აღქმადი პრობლემა რომელიც შეიძლება გახდეს საჩივრის წინაპირობა. ზოგადი პოლიტიკის მიხედვით 'ას' შეეცდება აქტიურად იმუშაოს უკმაყოფილების პრევენციის მიმართულებით, ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების განხორციელების (როგორც მოცემულია გზშ-ში) და საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალებით. აღნიშნული საქმიანობები დაგეგმილია იმისათვის, რომ წინასწარ გაამახვილოს ყურადღება იმ საკითხებზე რომლებიც შეიძლება გახდეს გასაჩივრების მიზეზი. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს პროექტის მენეჯერისა და 'ას'-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის (CLO) პასუხისმგებლობის სფეროს.

ნებისმიერი შენიშვნის ან საჩივრის შემოტანა შესაძლებელია ზეპირსიტყვიერად წერილობითი ფორმით (ელ-ფოსტის საშუალებით) ან საჩივრის ფორმის შევსებით. საჩივრის ფორმა ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებ-გვერდზე (www.adjaristsqali.com). ამასთან, აქვე აღწერილი იქნება გასაჩივრების მექანიზმი. შევსების შემდეგ გასაჩივრების ფორმა წარედგინება კომპანიის წარმომადგენელს, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ყველა საჩივრის განხილვის ვადაა 5 დღე. თუკი არსებობს დაუყოვნებლივი მაკორექტირებელი ღონისძიებები - მათი განხორციელება მოხდება 5 დღის განმავლობაში. ასეთის არარსებობის შემთხვევაში პასუხი გაიცემა 10 დღის განმავლობაში. შენიშვნის მიღების შემთხვევაში პასუხის მოლოდინის ვადაა 20 სამუშაო დღე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

მშენებლობის დროს შემოსული საჩივრები ექვემდებარება კატეგორიზაციას მათი საფუძვლიანობის და რისკის დონის მიხედვით, რომელსაც ადგენს 'ას' და CLO. სადაც საჭიროა, პროექტის თანამშრომლები და გარე ორგანოები განახორციელებენ გამოკვლევა-გამოძიებას. შესაბამისი საგამოძიებო ჯგუფების განსაზღვრის მიზნით CLO აქტიურად ითანამშრომლებს 'ას'-თან. საგამოძიებო ჯგუფები მიმოიხილავენ წამოწეულ საკითხს და გადაწყვეტენ, დაკავშირებულია თუ არა ეს თუ ის პრობლემა უშუალოდ პროექტთან თუ საჭიროა ამ საკითხზე მიმართვის გაკეთება გარეშე ორგანოსთან.

CLO წერილობით ახსნის (წიგნიერების პრობლემის შემთხვევაში - ვერბალურად) თუ როგორ ჩატარდა საკითხის განხილვა, მის შედეგებს, საქმიანობაში შესულ ცვლილებებს, რომელიც მიღებული იქნა შემოსულ საჩივრებზე დაყრდნობით და როგორ ხდება საკითხის მოგვარება შესაბამისი გარემოს დაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემების მოთხოვნების შესაბამისად.

ყველა საჩივარი ასახული იქნება საჩივრების ჟურნალში. ჟურნალი შეიცავს:

- დაინტერესებული მხარის სახელს და საკონტაქტო მონაცემებს;
- საჩივრის ხასიათის დეტალებს;
- საჩივრის მიღების და დახურვის თარიღს;

აქარისწყლის ჰესების კასკადი

- საჩივრის შემოსვლის საშუალებას, გათვალისწინებას, რეაგირებას და პრობლემის მოგვარებას.


დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება შეინარჩუნოს კონფიდენციალურობა. თუმცა 'ას'-ს არ შეუძლია უპასუხო ანონიმურ მომჩივანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მექანიზმი არ ენაცვლება იმ იურიდიულ უფლებებს, რომლებიც მხარეებს გააჩნიათ. საჩივრის შემოტანის შემთხვევაშიც კი, საკუთარი მიზნის მისაღწევად მომჩივანს შეუძლია სხვა იურიდიული საშუალებების გამოყენება.

პროექტის თანამშრომლებისა და უშტატო მუშებისთვის შემუშავდება გასაჩივრების ცალკე მექანიზმი. წინამდებარე დოკუმენტში ეს მექანიზმი მიმოხილული არ არის.

გამოსაყენებელი მექანიზმის სტრუქტურა ნაჩვენებია სურათზე 6.1.

სურათი 6.1. გასაჩივრების მექანიზმი



პროექტის დაგეგმარების ფაზაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის თანამდებობაზე (CLO) 'ას'-მ დანიშნა პიტერ რეი, რომლის მთავარი საქმიანობა სწორად

აქარისწყლის ჰესების კასკადი

საჩივრებთან და შენიშვნებთან მუშაობა იქნება. პროექტის მიმდინარეობის პროცესში 'ას'-მ შესაძლოა დანიშნოს დამხმარე ოფიცრები.

შენიშვნები და საჩივრები უნდა შემოვიდეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე, სადაც ეს შესაძლებელია სპეციალური ფორმების მეშვეობით. აღნიშნული ფორმა მოცემულია დანართში C.

სახელი: პიტერ რეი (Peter Rae)

მისამართი: 6, ირაკლი აბაშიძის ქუჩა; ბათუმი 6010; საქართველო

ელ-ფოსტის მისამართი: info@adjaristsqali.com

ვებ-გვერდის მისამართი: www.adjaristsqali.com

7. მონიტორინგი და ანგარიშგება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა განსაზღვრავს სხვადასხვა საქმიანობას, რომლებიც მოითხოვს მონიტორინგს და ანგარიშგებას, მათ შორის:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განახლება;
- CLO-ს საქმიანობები: შეიქმნება საკონსულტაციო შეხვედრების პროტოკოლი და ყველა კონსულტაციის წერილობითი კორესპონდენცია შეინახება, როგორც პროცესისა და შედეგის საბუთი;
- საჩივრების მიღება და შემდგომი პროცედურა: თითოეული საჩივარი მიღებული იქნება CLO-ს მიერ, მიენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი და გაივლის სხვა ყველა საჭირო პროცედურას მის საბოლოო გადაწყვეტამდე;
- ყოველწლიური ანგარიში: პროექტის ყოველწლიური ანგარიში, რომელიც აჯამებს პროექტის მიმდინარეობას, CLO-ს საქმიანობას, საჩივრებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განახლების ჩათვლით.

საჯარო დოკუმენტები დაეგზავნებათ დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის მარეგულირებელ სააგენტოებს, პროექტის დამფინანსებლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას და ადგილობრივ თემებს.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმა, როგორც გზშ-ს ნაწილი, დეტალურად აღწერს მონიტორინგისა და ანგარიშგების სპეციფიურ მოთხოვნებს ბუნებრივი და სოციალური გარემოს პროექტის განხორციელებისთვის.

8. დანართები

დანართი A. საწყისი პროექტის განხილვის დამსწრეთა სია

№	სახელი, გვარი	მუნიციპალიტეტი	თანამდებობა
1.	ნოდარ თავართქილაძე	ხულო	საკრებულოს თავმჯდომარე
2.	თემურ ბოლქვაძე	ხულო	გამგებელი (მუნიციპალიტეტის მთავარი აღმასრულებელი)
3.	ირაკლი ბარამიძე	ქედა	გამგებელი (მუნიციპალიტეტის მთავარი აღმასრულებელი)
4.	თემურ დუმბაძე	ხელვაჩაური	გამგებელი (მუნიციპალიტეტის მთავარი აღმასრულებელი)
5.	ნუგზარ ამდლობელი	შუახევი	გამგებელი (მუნიციპალიტეტის მთავარი აღმასრულებელი)
6.	მალხაზ პარტენაძე	ხელვაჩაური	საკრებულოს თავმჯდომარე
7.	ბადრი დიასამიძე	ქედა	საკრებულოს თავმჯდომარე
8.	ნაირა ონიანი	ხულო	გამგებლის ადმინისტრაციის უფროსი
9.	ხათუნა აბულაძე	ხულო	გამგებლის მოადგილე (მუნიციპალიტეტის მთავარი აღმასრულებელი)
10.	რუსლან აბულაძე	ხულო	საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
11.	დათო ჭელიძე	ხულო	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
12.	რევაზ მიქელაძე	ბათუმი	აჭარის სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
13.	მევლუდ ჯურკვაძე	შუახევი	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
14.	ემზარ აბულაძე	ხულო	საკრებულოს ფინანსური კომისიის თავმჯდომარე
15.	მალხაზ ქათამაძე	ხულო	გამგებლის თანაშემწე (მუნიციპალიტეტის მთავარი აღმასრულებელი)
16.	ვაჟა ცეცხლაძე	ხულო	გამგებლის იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარე (ადგილობრივი ადმინისტრაცია)
17.	რუსუდან ძირკვაძე	ხულო	საკრებულოს სოციალური საკითხების კომისიის თავმჯდომარე

აჭარისწყლის ჰესების კასკადი

№ სახელი, გვარი	მუნიციპალიტეტი	თანამდებობა
18. რაულ აბულაძე	ბათუმი	დეპარტამენტის უფროსი, აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო
19. ეკატერინე ვარშალომიძე	ბათუმი	აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
20. აბესალომ გურგენიძე	ბათუმი	აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილე

დანართი B: გზმ-ს მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის შესახებ

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში ხდება იმ მოვლენების განსაზღვრა, რომლებმაც შეთავაზებული ჰესების კასკადის პროექტის განხორციელებით შესაძლოა მიაღწეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოს. როგორც გზმ-ს ნაწილი, საჯარო განხილვებთან და კონსულტაციებთან დაკავშირებული, ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნებს:

- გზმ-ს სკოპინგის განხილვა და კონსულტაციები:

A. სკოპინგის ანგარიში და ბუკლეტი:

- მე-4 პარაგრაფში ჩამოთვლილ დაინტერესებულ პირებს ეცნობებათ სკოპინგის ანგარიშის დასრულების შესახებ. ანგარიში გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე;
- სკოპინგის ანგარიშის სრული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება ინგლისურ, ხოლო ბუკლეტი ქართულ ენაზე;
- ქართულ ენოვანი ბუკლეტების ასლები გავრცელდება პროექტის გავლენის ქვეშ არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში და იქნება ხელმისაწვდომი დაინტერესებულ მხარეებთან სემინარის ჩატარებამდე.

B. სკოპინგის განხილვის ღონისძიებები: შეხვედრები ტარდება სკოპინგის ფაზის დასკვნების და გზმ-ს მიდგომების გასაცნობად და ტარდება დეტალური კვლევის დაწყებამდე. სკოპინგის ანგარიშის დასკვნები წარმოდგენილი იქნება ქართულ, არატექნიკურ ენაზე. განხილვაზე მოწვეული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე, ასევე შეგროვდება ყველა დასმული შეკითხვა და კომენტარი.

- სკოპინგის განხილვის ფორმალური ღონისძიება: ჯამში ჩატარდება 4 შეხვედრა, ყოველი მუნიციპალიტეტისთვის, 2 დღის ვადაში. შეხვედრა გაიმართება ქართულ ენაზე;
- სკოპინგის განხილვის საზოგადოებრივი ღონისძიება: ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით ამ შეხვედრებს ასევე დაესწრება გზმ-ს გუნდი. შეხვედრა ჩატარდება ორი დღის განმავლობაში მუნიციპალიტეტების სოფლებში;
- ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდება ადგილობრივი გაზეთების საშუალებით, თემების ხელმძღვანელებთან დაკავშირების მეშვეობით, და ასევე ტერიტორიაზე პლაკატების გაკვრის გზით. ყოველივე ეს ღონისძიება ჩატარდება 'ას'-ს მიერ, უშუალო შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე;
- შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან: სარეკომენდაციო წერილზე თანდართული სკოპინგის დოკუმენტაციის ასლი გადაეგზავნება მწვანე ალტერნატივას და მწვანე მოძრაობას, რათა მათი პროექტში ჩაბმა ადრეულ სტადიაზე იქნას უზრუნველყოფილი. სექტემბრის დასაწყისში ამ ჯგუფებთან დაგეგმილია წინასწარი შეხვედრის მოწყობა.

აქარისწყლის ჰესების კასკადი

- ჩართულობა გზმ-ს დეტალური კვლევისას: კერძო შეხვედრები, ინტერვიუები, შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან;
- გზმ-ს წინასწარი ვერსიის განხილვა და კონსულტაციები:
 - C. გზმ-ს ანგარიშის გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე რეგიონალურ და ეროვნულ პრესაში მისი და პროექტის განხილვის შესახებ განცხადების გაკეთება;
 - D. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გზმ-ს წინასწარი ვერსიის, ტექნიკური რეზიუმეს და „ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირულ წყლებში ჩაშვებული დამაბინძურებელი ნაწილაკების მაქსიმალურად დასაშვები დონეების“ შესახებ ანგარიშის წარდგენა, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;
 - E. წინასწარი გზმ-ს არატექნიკური რეზიუმეს გამოქვეყნება ინგლისურ და ქართულ ენებზე, მინიმუმ 50 დღის ვადით;
 - F. პროექტის გავლენის ქვეს მყოფი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში მინიმუმ 4 შეხვედრის გამართვა და პროექტის და გზმ-ს წინასწარი ვერსიის განხილვა. დაინტერესებულ მხარეებს მიეცემათ საშუალება გააკეთონ შენიშვნები ანგარიშის საბოლოო ვერსიის მომზადებამდე.

გზმ-ს განხილვის შედეგების შესახებ ეცნობება გზმ-ს ტექნიკურ სპეციალისტებს. შემოსული შენიშვნები ასახვას ჰპოვებენ გზმ-ს საბოლოო ანგარიშში, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ვერსიებში. არატექნიკური რეზიუმე მომზადდება ქართულ ენაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებ-გვერდზე, ხოლო დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ნაბეჭდი ვარიანტი.

- ურთიერთობა მედიასთან და ნაწერი ინფორმაციის განხილვა:
 - ეროვნული დებულებების თანახმად, პროექტის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდება რეგიონალურ და ეროვნულ გაზეთებში გზმ წინასწარი ვერსიის გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე.

სანებართვო განცხადების და მისი მიღების პროცედურა, მათ შორის გზმ-ს კოორდინაცია და საჯარო განხილვებისთვის ვადების დადგენა მოიცავს ორ ეტაპს:

- გაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში, პროექტის დეველოპერმა ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს გზმ ანგარიში (როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსია). ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში პროექტზე პასუხისმგებელმა მხარემ უნდა განიხილოს მოსახლეობიდან შემოსული შენიშვნები, ხოლო არაუადრეს 50 დღისა, მაგრამ არაუგვიანეს 60 დღის განმავლობაში უნდა მოეწყოს საჯარო განხილვა. ადმინისტრაციულ ცენტრში უნდა ჩატარდეს მინიმუმ ერთი შეხვედრა. შეხვედრიდან 5 დღის განმავლობაში საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დამსწრე ორგანოების წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი შეხვედრის ოქმი;
- ყველა შემოსული შენიშვნა განხილვის საგანია და გზმ-ს საბოლოო ვერსიის მომზადების დროს კი მითი გათვალისწინება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუკი

აქარისწყლის ჰესების კასკადი

შენიშვნის გზაში ასახვა ვერ ხერხდება, შენიშვნის ავტორს წერილობით უნდა ეცნობოს ამის გამომწვევი მიზეზის შესახებ. ეს წერილები, შეხვედრის ოქმი და გზა-ს საბოლოო ვერსია შემდეგ წარედგინება საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (ან, იმ შემთხვევაში თუკი საჭიროა მშენებლობის ნებართვის მიღება - შესაბამის ორგანოებს).

დანართი C: გასაჩივრების ბროშურა საზოგადოებისთვის

‘ას’ ყველა ღონეს ხმარობს, რათა ახალი ჰესის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ პრობლემები არ შეუქმნას პროექტის ტერიტორიის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობას, ან პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ რომელიმე დაინტერესებულ მხარეს. ამასთან გვსურს, რომ ჩვენამდე მოვიდეს პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა ან საჩივარი.

რა სახის საჩივრების წარდგენა შემიძლება?

საჩივრის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც ფიქრობს, რომ პროექტის საქმიანობამ უარყოფითად იმოქმედა მასზე, მის დასახლებაზე ან ადგილობრივ გარემოზე. საჩივარი შეიძლება ეხებოდეს:

- მიწის შეძენის პროცესის არასწორი წარმართვა (მშენებლობამდე);
- სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ ხმაურს (მშენებლობა);
- კერძო და საერთო ქონებისა და საკუთრების დაზიანებას;
- თემის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, მაგალითად გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობიდან გამომდინარე (მშენებლობა);
- წყლის დაბალ ხელმისაწვდომობას ირიგაციისა და წყლის წისქვილებისთვის;
- საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულთა და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებას;
- პროექტში დასაქმებული მუშახელის შრომის უფლებების დარღვევას.

ამასთან, ასევე მიიღება შენიშვნები და მოთხოვნები; მათი ჩაწერა შესაძლებელია ისევე, როგორც ჩივილების. ასეთ საკითხებზე პასუხი გაიცემა შეძლებისთანავე.

როგორ შემიძლია საჩივრის წარდგენა?

საჩივარი შეგიძლიათ წარადგინოთ CLO-თან შემდეგი სახით:

- a) ტელეფონის საშუალებით +995 (5) 99715125
- b) ელექტრონული ფოსტის საშუალებით info@adjaristsqali.com
- c) ან შეგიძლიათ განცხადება შემოიტანოთ შემდეგ მისამართზე: ნინო დიასამიძე; მის.: 6, ირაკლი აბაშიძის ქ. ბათუმი 6010, საქართველო.

გარდა ამისა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სპეციალურად პროექტის მშენებლობის ფაზის განმავლობაში, განთავსდება საჩივრის მოსათავსებელი სპეციალური ყუთები. ყუთები გაიხსნება კვირაში ერთხელ.

რა რეაგირებას მოახდენს ‘ას’ ჩემს საჩივარზე?

თქვენი საჩივარი გაივლის შემდეგ საფეხურებს:

საფეხური 1 დადასტურება: ‘ას’ დაგეგმავს იმდენ დროს და დაადასტურებს თქვენი საჩივრისა და თხოვნის მიღებას:

აქარისწყლის ჰესების კასკადი

- საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე 5-10 სამუშაო დღის განმავლობაში;
- სიტყვიერ საჩივარს - მაშინვე, ხოლო წერილობითს - 5-10 სამუშაო დღის განმავლობაში;
- რაც შეეხება შემოსულ შენიშვნებს, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება დაახლოებით 20 სამუშაო დღე.

დადასტურებისას თქვენ გაცნობებენ თქვენი საჩივრის საიდენტიფიკაციო ნომერს, თქვენს საჩივარზე პასუხისმგებელ პირსა და მის საკონტაქტო ინფორმაციას, ასევე თქვენი საჩივრის შესწავლის სავარაუდო ვადას (საჭიროების შემთხვევაში).

საფეხური 2 გამოძიება: 'ას' შეისწავლის თქვენს საჩივარს. ამ პროცესში შესაძლოა დაგიკავშირდნენ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით.

საფეხური 3 მოგვარება: თქვენი საჩივრის შესწავლის შემდგომ თქვენ დაგიკავშირდებიან, რომ გაცნობონ შედეგების და 'ას'-ს გადაწყვეტილების შესახებ. თუ გამოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ საჩივარი არ ეხება პროექტის საქმიანობას ან 'ას' აკმაყოფილებს საჩივართან დაკავშირებულ საქართველოსა და საერთაშორისო სტანდარტებს, ჩვენ ამის შესახებ გაცნობებთ წერილობითი ფორმით.

საფეხური 4 მონიტორინგი: 'ას' შესაძლოა დაგიკავშირდეთ პროექტის ბოლო ეტაპზე, რათა დარწმუნდეს იმაში, პროექტის საქმიანობა აღარ გიქმნით პრობლემებს.

კონფიდენციალურობა: სურვილის მიხედვით, 'ას' უზრუნველყოფს თქვენი სახელისა და საკონტაქტო ინფორმაციის კონფიდენციალურობას. ამ ინფორმაციის მიღება მხოლოდ თქვენს საჩივარზე უშუალოდ მომუშავე პირებს შეეძლება. თუ საჩივარზე მომუშავე გუნდი მომჩივანზე ინფორმაციის გაუცემლად ვერ ახერხებს საკითხის შესწავლას, თქვენ ამის შესახებ წინასწარ გეცნობებათ.

აქარისწყლის ჰესების კასკადი

საზოგადოებრივი საჩივრის და ინფორმაციის მოთხოვნის ფორმა

საჩივრის ნომერი (უნდა შეივსოს 'ას'-ს მიერ):

საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელ-ფოსტა:

გთხოვთ მიუთითოთ გსურთ თუ არა ანონიმურობის შენარჩუნება:

[გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ შესაძლოა დაგიკავშირდეთ, თუმცა მესამე პირზე წინასწარი თანხმობის გარეშე თქვენს ვინაობას არ გავცემთ]

რომელი საშუალებით გირჩევნიათ რომ დაგიკავშირდნენ? გთხოვთ მონიშნეთ

საფოსტო მისამართი:

ტელეფონი:

ელ-ფოსტა:

სახელი და საიდენტიფიკაციო ინფორმაცია (პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან. [ამ ველის შევსება სავალდებულო არ არის]:

შენიშვნები

გთხოვთ გააკეთოთ შენიშვნა.

საკითხის თქვენს მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა.

საჩივრები

გთხოვთ დეტალურად აღწეროთ საჩივარი, პრობლემის განმარტების ჩათვლით (ვის რა შეემთხვა, როდის, სად და რამდენჯერ).

პრობლემის თქვენს მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა.

როგორ წარვადგინო აღნიშნული ფორმა 'ას' -ში

ფოსტით:

6 ირაკი აბაშიძის ქ.;

ბათუმი 6010;

საქართველო

პირადად:

6 ირაკი აბაშიძის ქ.;

ბათუმი 6010;

საქართველო

ელექტრონული ფოსტით: გთხოვთ გამოგზავნეთ თქვენი საჩივარი,
პრობლემის მოგვარების თქვენი ვერსია და სასურველი საკონტაქტო
მონაცემები ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე:

info@adjaristsqali.com

ხელმოწერა

თარიღი
